

2017 წლის კონკურსი

N	ორგანიზაციის სახელწოდება	პროექტის სახელწოდება	მიზანი	თანხა
1	ააიპ „საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აისი“	ახალგაზრდების სარეზერვო-სამაშველო მომზადება	პროექტი „ახალგაზრდების სარეზერვო-სამაშველო მომზადება“ გულისხმობს ახალგაზრდებისთვის სარეზერვო-სამაშველო საქმიანობის შესახებ ტრენინგ-კურსის ჩატარებას. კურსი მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილს. სწავლება შედგება 5 ძირითადი სასწავლო ეტაპისგან: 1. ტოპოგრაფია-ნავიგაციის კურსი; 2. პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი; 3. სამთო-სამაშველო კურსი; 4. საინჟინრო-სამაშველო კურსი; 5. "განგაშის ჩანთა" (Bug out Bag). პროექტის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ახალგაზრდები 18-დან 25 წლამდე 30 მოხალისე, რომლებმაც უკვე გაიარეს ორგანიზაციის საბაზისო სამხედრო-სალაშქრო კურსი, დაინტერესებული არიან საზოგადოებრივი საქმიანობით.	18208
2	ააიპ „ახალგაზრდული ეკო სოფელი“	ახალგაზრდული ეკო სოფლის" საბანაკე ტერიტორიის განვითარება	წარმოდგენილი პროექტის მიზანია ა.ი.პ „ახალგაზრდული ეკო სოფლის“ საკუთრებაში არსებული ლაგოდებში, ფონის საბანაკე ტერიტორიის განვითარება. კერძოდ ბანაკის ტერიტორიაზე 5 ერთეული 14-16 კვადრატული ფართობის ხის კოტეჯის მშენებლობა. პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება ფონის საბანაკე ტერიტორიის საოპერაციო პერიოდი 4 თვიდან 7 თვემდე რაც უზრუნველყოფს ბანაკში დასაქმებული ადამიანების შრომითი დაკავების გახანგრძლივებას. ბანაკში დასაქმებულია 6 ადგილობრივი ახალგაზრდა და მოწვეული პროგრამული თანამშრომლები. სოციალური საწარმოს შეთავაზება მომხმარებელთან იქნება 3 ტიპის 1) საბანაკე მომსახურება - კოტეჯი, კვება და პროგრამა 2) საბანაკე მომსახურება - მხოლოდ კოტეჯში განთავსება კვების და პროგრამის გარეშე, როდესაც დამკვეთი თავად უწევს ორგანიზებას კვებას. 3) საბანაკე მომსახურება კარვებში კვებით და კვების გარეშე.	24225
3	ააიპ „ხევსურეთი და თემი“	ტურისტულ-სათავგადასვლო ცენტრი/კემპინგი “ ჩირდილი”	ხევსურეთში შექიმნება სამთო-სათავგადასვლო ტურისტული ცენტრი/კემპინგი, რომელშიც გაერთიანდებიან ადგილობრივი ახალგაზრდები და ტურისტული ბიზნესით დაინტერესებული ადგილობრივები. მთაში მოგზაურები კემპინგში შეძლებენ	18950

			<p>დამისთევას, კვებას და ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ სხვადასხვა სერვისებით: გიდი-გამყოლი, მანქანა, ცხენები, მიიღონ ინფორმაცია, კონსულტაცია და ა.შ. შემუშავდება ახალი მარშუტები ხევსურეთის სამივე ხეობისთვის რომ უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი და კომპლექსური გახდეს ამ რეგიონში მოგზაურობა.</p>	
4	<p>ააიპ „სტუდენტები უკეთესი განათლებისთვის“</p>	<p>ელექტრონული ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა ახალგაზრდების ეფექტური და ხელმისაწვდომი განათლებისთვის</p>	<p>პროექტის მიზანია, ქართველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის გაციფრება, შესაბამის პროგრამულ სისტემაში ჩართვა და ამით ხელმისაწვდომობის გაზრდა, როგორც ქართულ სამეცნიერო სივრცეში, ისე მის ფარგლებს გარეთ: ახალგაზრდა მკვლევრებისთვის, ქართველოლოგიით დაინტერესებული პირებისათვის.</p>	18770
5	<p>ააიპ “გავაძლიეროთ სოფლად ახალგაზრდები”</p>	<p>მზეკო</p>	<p>მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარში გაიხსნება სოციალური საწარმო, რომელიც შეძლებს პროდუქციის წარმოებას, მოწყვლადი ჯგუფის - დევნილი, სოციალურად დაუცველი ქალებისა და მრავალშვილიანი დედების დასაქმებას. პროექტის ფარგლებში, საწარმო ამუშავებს ქსოვის, საოჯახო ტექსტილის კერვისა და ტრადიციული მეთოდით მატყლის დამუშავების წრეებს, სადაც ქალები, მათ შორის სკოლის მოსწავლეებიც შეძლებენ დაეუფლონ ხელსაქმეს. ჩატარდება ტრენინგი თემაზე “პროფესიული განათლება - წარმატებული მომავალი”.</p>	19209,50
6	<p>ააიპ „სამოქალაქო აქტივობების ცენტრი“</p>	<p>პანკისში, თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში ტურიზმის განვითარებაში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა</p>	<p>პროექტის მიზანია პანკისში, თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში ტურიზმის განვითარებაში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად 15-მდე ახალგაზრდა მომზადდება საფეხმავლო გამყოლებად პროფესიონალი ინსტრუქტორების დახმარებით. ისინი მიიღებენ ცოდნას ისეთ დისციპლინებში, როგორცაა ორიენტირება და ნავიგაცია, პირველადი სამედიცინო დახმარება და სხვა. საფეხმავლო გამყოლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით შედგება 15 დღიანი სასწავლო კურსი. კურსს გაუძღვებიან მოწვეული სპეციალისტები საქართველოს გიდების ასოციაციიდან, მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაციიდან და ილიას უნივერსიტეტიდან.</p>	19850

7	ააიპ „სტუდია ბაო“	"სიმართლის გუდა" მსოფლიო ხალხთა ანდაზები ანიმაციაში	პროექტის ფარგლებში დაგეგმილია: 12 საშუალოდ წუთნახევრიანი ანიმაციური სერიის შექმნა მსოფლიო ხალხთა ანდაზების მიხედვით; სერიის დისკებზე გამოშვება; ანდაზების სანიშნეების დაბეჭდვა, ნაჭრის ჩანთების შეკერვა ანდაზების ილუსტრაციებით და სხვა.	20000
8	ააიპ „საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია“	ტრადიციული რეწვა - სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდების დასაქმებისა და რეგიონალური განვითარებისთვის	პროექტი ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ახალგაზრდების - ტრადიციული რეწვის ოსტატებისთვის პროდუქციის განვითარების ტრენინგების ჩატარებას, ახალი ხაზების და კოლექციების შექმნას და მათ მარკეტინგს, როგორც ადგილობრივად, ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე შექმნილ ახალ სარეალიზაციო ობიექტში, ისე თბილისში მაღაზია „ეთნოდიზაინში“ და დროებით გამოფენა-გაყიდვებზე. პროექტი განხორციელდება სამცხე-ჯავახეთში ასოციაციის წევრი ოსტატებისა და მათი ახალგაზრდა შეგირდების ქსელის ბაზაზე.	18770
9	ააიპ „ლაშქრობა“	ვიდეო ლექციები სალაშქრო თემაზე	საგანმანათლებლო ვიდეოებისა და ლექციების დახმარებით მოლაშქრე ახალგაზრდებში ცოდნის ამღებება, ლაშქრობისას უსაფრთხოების გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება, ბუნებაზე მზრუნველობითი მიდგომის ჩამოყალიბება.	19960
10	ააიპ „მომავალი იწყება დღეს“	თანამედროვე საინფორმაციო სისტემა DAISY, უსინათლო და წაკითხვის პრობლემების მქონე ადამიანებისათვის	პროექტის განხორციელების შედეგად საქართველოში დაინერგება მსოფლიოში აღიარებული თანამედროვე ციფრული ტექნოლოგია DAISY ფორმატის სახით. ამ ფორმატის დანერგვა საშუალებას მისცემს საქართველოს მცხოვრებ პირებს ისარგებლონ ადაპტირებული აუდიო წიგნებით, რომელიც მაქსიმალურად მორგებული იქნება მომხმარებლის მოთხოვნაზე, კერძოდ, მათ შეეძლებათ მოქნილი ნავიგაციით იპოვონ სასურველი გვერდი, აბზაცი, წინადადება, სიტყვა და ა.შ. პროექტის ფარგლებში გადამზადებული პირები, მათ შორის შშმპ, მოახდენენ წიგნების DAISY ფორმატში ადაპტირებას. ადაპტირებული აუდიო წიგნები თავს მოიყრის პირველ ქართულ DAISY ბიბლიოთეკაში, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდება	21280
11	ააიპ „უკეთესი მომავლისათვის“	წეროვანის დევნილი ახალგაზრდების პროფესიული უნარების	პროექტის მიზანია _ სოციალურ საწარმო „იკორთას“ ეკონომიკური გაძლიერება და წეროვანში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდებისათვის პროფესიული გადამზადების კურსების	19960

		განვითარების ხელშეწყობა	ჩატარება, ადგილზე დასაქმების ხელშეწყობის გზით.	
12	ახალგაზრდების ინტეგრაციის, განათლების და კულტურული განვითარების ასოციაცია	ქალაქი ბიბლიოთეკა - საგანმანათლებლო ლიტერატურული ტურები	პროექტის მიზანია ახალგაზრდებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია და ახალგაზრდების ინტერესის გაზრდა ქართული კულტურის მიმართ. პროექტის ფარგლებში, თბილისის ქუჩებში მოეწყობა ლიტერატურული ტურები, რომელთა გიდი ცნობილი ქართველი პოეტი რატი ამალაშვილი იქნება. ტურები იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომი, ნებისმიერ მსურველს შეეძლება მონაწილეობის მიღება. ტურების თემატიკას განსაზღვრავს თბილისის ქუჩები, იქ მცხოვრები ქართველი მწერლები.	19165
13	ააიპ "გრინკო"	„ახალგაზრდა მებაღეები“	პროექტის მიზანია დაფუძნდეს სოციალური საწარმო „ახალგაზრდა მებაღეები“, რათა ხელი შეეწყოს მებაღეობის განვითარებას საქართველოში. სოციალური საწარმო დაასაქმებს და გადაამზადებს სოციალურად დაუცველ და ზრუნვის სისტემიდან გამოსულ ახალგაზრდებს, ბაზარზე დანერგავს პროფესიონალური ბაღის მოვლისა და გაშენების სერვისს. პროექტის ფარგლებში დაკომპლექტება ახალგაზრდა მებაღეების ჯგუფი, რომლებიც შეასრულებენ დაკვეთებს.	24210
14	ააიპ „წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი“	ტრადიციული ხელობების შემსწავლელი ცენტრის გაფართოვება და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა რეწვის პროდუქციის განვითარების გზით ქარელის რ-ნის შშმ პირებისა და ახალგაზრდების ეკონომიური გაძლიერებისათვის	პროექტის მიზანია ქარელის რაიონში, სოფელ ბებნისში წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის ბაზაზე შექმნილი ტრადიციული ხელობების შემსწავლელი ცენტრის გაფართოვება, ტრადიციული რეწვის პროდუქციის განვითარება და ქარელის რაიონის შშმ პირებისა და სიღარიბის ზღვარზე მყოფი ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების გზით, სახელობო უნარების განვითარება, სოციალური ინტეგრაცია და შემდგომი დასაქმების პერსპექტივის შექმნა.	12625
15	ააიპ „ხევსური ქალები ჯანსაღი მომავლისათვის“	ახალგაზრდული ცენტრი ხევსურეთში	პროექტის ფარგლებში იგეგმება ბარისახოში, „ახალგაზრდული ცენტრი“- ს რემონტი და ტექნიკურ აღჭურვა, ასევე საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების ჩატარება.	18772,54

			ცენტრში გაიხსნება და მუდმივად იმუშავებს კაფე, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი, ერთ ოთახში მოეწყობა საძინებელი ღამის გათევის მსურველ ვიზიტორებზე გასაქირავებლად და ა.შ ცენტრში გაიყიდება ახალგაზრდების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები.	
16	ააიპ „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21“	ქართული ენის შემსწავლელი კურსი ფერეიდნელი ქართველებისათვის	პროექტის მიზანია ფერეიდნელ ახალგაზრდებს 1 თვის განმავლობაში შეასწავლოს ქართული ენა, ხალხური სიმღერები, ფანდურზე დაკვრა და გააცნოს ისტორიული ძეგლები. პროექტის მიხედვით საქართველოში ქართული ენის და ხალხური სიმღერის შესაწავლად ჩამოვა 12 ფერეიდნელი ახალგაზრდა.	18180
17	ააიპ „რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური განვითარების ფონდი-ახალგაზრდობა (სკოლა)“	მეტი ახალგაზრდობა მთას	პროექტის მიზანია, სკოლადამთავრებული ახალგაზრდების ჩართვა ჯანსაღი ცხოვრების მიმართულებით. პროექტის განხორციელების შედეგად, ახალგაზრდებს გაუჩნდება ამ საქმიანობით შემოსავალი, მიეცმა მათ სტიმული ჩაებნენ საზოგადოებრივად აქტიურ ცხოვრებაში და სწორი მეთოდით და პრინციპის შერჩევით, მოხდება მათი სკოლიდან სამუშაოზე გადასვლა.	17650
18	ააიპ „მომრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის“	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჯარისკაცები ხელმისაწვდომი გარემოსთვის	პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები სამშვიდობო მისიებში მონაწილე შშმ ჯარისკაცების მეტ ინტეგრაციას საზოგადოებრივად აქტიურ ცხოვრებაში, პროექტის ბენეფიციარების მიერვე გახორციელებული სამოქალაქო თავდაცვის ტრენინგების გამართვის, გარემოს დაცვის, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის გზით.	19962
19	ააიპ „აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუმუნჯთა კავშირი "ჰერა"“	სოციალური საწარმო „აუდიო-მულტი სტუდია „ჰერა“-ს აუდიო წიგნების სამყარო	პროექტის მიზანია, ჩაიწეროს მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის კლასიკა უსინათლო და მცირემხედველი ბენეფიციარებისათვის, საქართველოში პირველად მოხდება აუდიო წიგნების გამოშვება ერთ გიგაბაიტიანი მეხსიერების ბარათების სახითაც. ოთხი თვის განმავლობაში ჩაიწერება 2640 სტანდარტული გვერდი. აუდიოწიგნების ნაწილი აიტვირთება კავშირი „ჰერა“-ს ინტერნეტ-ბიბლიოთეკის საიტზე <a href="http://www.abh.ge">www.abh.ge</a> რომლითაც სარგებლობა უფასოდ შეუძლიათ შშმ პირებს. სოციალური საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ნაწილს კავშირი საჩუქრად გადასცემს უსინათლო ბენეფიციარებს და 202 საჯარო	19069

			სკოლის (უსინათლოთა სკოლა-პანსიონი) მოსწავლეებს; აუდიო წიგნები აიტვირთება ელექტრონული წიგნების სახლის „საბა“-ს აუდიო აპლიკაციებში.	
20	ააიპ „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია“	ხის საწარმო „სხივის“ განვითარება	პროექტის მიზანია არსებული ხის დამამუშავებელი სოციალური საწარმოს განვითარება და შშმ პირთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება გრავირების აპარატის Roland MDX-40A 3D მულტიფუნქციური დანადგარის შეძენით, რომელსაც ფართო გამოყენება აქვს. Roland MDX-40A 3D პრინტერის საშუალებით შეიძლება, მარტივად დამზადდეს ნებისმიერი ფორმის ნივთი.	19970
21	ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების კავშირი“	სოციალური საწარმოების გაძლიერება შშმ პირთა თემის მხარდასაჭერად	პროექტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების კავშირის (შშმპდკ) კუთვნილებაში არსებული სოციალური საწარმოს განვითარება და გაძლიერება. პროექტი გულისხმობს, როგორც საწარმოს შენობის რემონტს და გარემო-პირობების მოწყობას, ისე წარმოებისათვის საჭირო მასალის შეძენას. პროექტის ფარგლებში მოხდება ერთი საკერავი მანქანისა და ფეხსაცმლის შესაკერი მასალის შეძენა. პროექტის გუნდი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს რამდენიმე შშმ პირის შერჩევასა და გადამზადებას ორგანიზაციისთვის პრიორიტეტულ პროფესიებში. გადამზადდება 3-4 შშმ პირი, რომელთაგანაც საწარმოში დასაქმდება ერთი ან ორი. სწავლების კურსი მოიცავს 4 თვეს.	19950
22	ააიპ “ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის”	სოციალური საწარმო „მეგო-ბარი“	პროექტის მიზანია ზუგდიდში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, მათ შორის სოციალურად დაუცველი, დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის შეიქმნას საერთო სამუშაო სივრცე, რომელსაც ექნება სოციალური საწარმოს სახე. სოციალური საწარმო „მეგო-ბარი“ იქნება პირველი არაკომერციული, უფასო საერთო სამუშაო სივრცე (co working space) და კაფე-ბარი ზუგდიდში. დევნილ და სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ ბარში გაიარონ ბარმენის, კონდიტერის, მუსიკალური წამყვანის პრაქტიკული და თეორიული კურსები, რაც შემდგომში მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს. სადამოს სივრცე იფუნქციონირებს, როგორც კაფე-ბარი და დაბალალკოჰოლური სასმელებთან და ტკბილეულთან ერთად ზუგდიდის ახალგაზრდებს შესთავაზებს	19715

			სხვადასხვა სახის ღონისძიებებს: მუსიკალურ სადამოებს, კინოჩვენებებს, სპორტული თამაშების ტრანსლაციებს და სხვ.	
23	ააიპ „ახალგაზრდული იდეების ცენტრი 2017“	სოციალური ფოტო-ვიდეო სახელოსნო	პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდება სოციალური ფოტო-ვიდეო სტუდია, სადაც სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები 3 ჯგუფად დაიყოფიან და შეისწავლიან: 1 - ფოტოგრაფიასა და დიზაინს; 2- მონტაჟს; 3 - ვიდეოგადაღება (ოპერატორობას). სწავლების პროცესში, პრაქტიკის გავლის და გამოცდილების დაგროვების მიზნით, 2017 წლის ბოლომდე ეს ჯგუფები სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციას უსასყიდლოდ მოემსახურებიან. სხვა ორგანიზაციების საქმიანობაში ჩართვისა და მათთვის მასალების მომზადების გარდა, იგეგმება კრეატიული ვიდეო რგოლების დამზადება საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე, მაგალითად: გარემოს ან საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე და ა/შ. პროექტის დასრულების შემდეგ რამდენიმე ახალგაზრდა საწარმოში დასაქმდება.	19980
24	ააიპ "გზა მშვიდობისკენ"	ნიქოზის მეკლდეურთა კლუბი	წარმოდგენილი პროექტით კეთილმოეწყობა ხელოვნური საცოცი კედლის სავარჯიშო გარემო, კერძოდ მოეწყობა დამატებითი საცოცი, რთული მონაკვეთები, დაიხვეწება და გაძლიერდება უსაფრთხოების ზომები, მოეწყობა მეტეოროლოგიური მოვლენებისაგან (წვიმა, თოვლი, ქარი )დამცავი საფარი.	18445,06
25	ააიპ „ხვალინდელი დღე“	სპელეოტურიზმის განვითარება ზემო იმერეთში	პროექტის მიზანია ზემო იმერეთში, კერძოდ თერჯოლა - ჭიათურის მუნიციპალიტეტებში სპელეოტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია, ამ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სპელეოგიდის სამსახურის საფუძველის ჩაყრა. პროექტის რეგიონული კოორდინატორები არიან გია და გელა ციციძეები, რომლებიც მრავალი წელია ემსახურებიან ვიზიტორების მღვიმეებში გადაადგილებას.	17855
26	ააიპ „დემოკრატიის ლაბორატორია“	მე, აქტიური მოქალაქე	პროექტის მიზანია პანკისის ხეობის სკოლებში მოსწავლეების საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა და საჭირო უნარების ჩამოყალიბების სურვილის განვითარება.	18036,50
27	ააიპ „ნიუ ჯ“	რბილი განმავითარებელი	პროექტის საბოლოო მიზანია, ხელი შეუწყოს შეზღუდული	19925

		სათამაშოების სამკერვალო საწარმო	შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური, ფსიქოლოგიური და ფინასური მდგომარეობის გაუმჯობესებას ე.წ. „პრაქტიკული ინტერვენციის“ გზით. ასევე პროექტის სპეციფიკურ მიზანს წარმოადგენს ისეთი სოციალური საწარმოს შექმნა, რომელიც იქნება სიცოცხლისუნარიანი და ერთი წლის შემდეგ თვითონ შეძლოს უზრუნველყოს ყოველწლიურად შშმკ-ის საჭიროებებზე მორგებული პროექტების დაფინასება და განხორციელება.	
28	ააიპ "ახალგაზრდები ჯანსაღი ცხოვრებისთვის"	არაფორმალური განათლების სკოლა	პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სოციალურად დაუცველი, დევნილი ახალგაზრდების და მალაღმთიან რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების სასწავლო პროგრამაში ჩართვა, რომელიც უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, სათანადო უნარებით აღჭურვას რომელიც გამოადგებათ დამსაქმებლებთან ურთიერთობაში, აგრეთვე პროექტი უზრუნველყოფს მცირე ბიუჯეტის პროექტების კონკურსის გამოცხადებას რომელშიც მონაწილეების მიღება შეეძლება ტრენინგებში მონაწილე ახალგაზრდებისაგან ჩამოყალიბებულ საინიციატივო ჯგუფებს.	14893
29	ააიპ „ფინიკი“	ნატვრის ხე	პროექტი მიზნად ისახავს კახეთის რეგიონში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშში ბიბლიოთეკა - ცენტრის "ნატვრის ხე" მოწყობა-განთავსებას, მოსწავლე-ახალგაზრდების წიგნიერების დონის ამაღლებას. ცენტრი შეუქმნის ბავშვებს ისეთ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც შეძლებენ სკოლიდან ახალ ცხოვრებისეულ საფეხურზე გადასვლის პროცესში კონკრეტული ცოდნის მიღების საფუძველზე ცნობიერების ამაღლებას.	19898
30	ააიპ „ახალგაზრდები მთის განვითარებისათვის“	გომარო-ზანავის თემში სპორტულ-კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი	ადგილობრივ ახალგაზრდებში ინიციატივის გაღვივება, წახალისება, ხელშეწყობა, და მათი განხორციელება; ადგილობრივებისთვის ადამიანის უფლებების გაცნობა, რიგ შემთხვევებში საჭირო ღონისძიებების გატარება მათივე უფლებების დასაცავად. გომარო-ზანავის თემში - სოფ. პატარა ზანავში - სპორტულ, კულტურულ, საგანმანათლებლო ცენტრის მოსაპირკეთებელი სამუშაოების შემდეგ, ცენტრი დაიწყებს ფუნქციონირებას და დაკომპლექტებული იქნება ჭიდაობის კვალიფიციური მწვრთნელებით, სადაც ახალგაზრდობა უფასოდ მოახერხებს მიყვეს ამ სპორტს პროფესიონალური კუთხით და ასევე	18839,85



			ექნებათ საშუალება ჩაერთონ სამოყვარულო წრეებში.	
31	ააიპ „ჰელოუ ჯოი“	სოციალური საწარმო Hello Joe	„Hello Joe“ წარმოადგენს სოციალურ საწარმოს, რომლის მთავარი მიზანია ახალგაზრდებში, კერძოდ მუსიკოსებში გადაჭრას დასაქმების პრობლემა. სოციალური კაფე-ბარი ორიენტირდება მუსიკოსებზე, შესაბამისად მაქსიმალურად ეცდება ხელი შეუწყოს მათ კარიერულ წინსვლას და შექმნას პლაფტორმა, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ საათობრივად მიიღონ ანაზღაურება, რომელიც თავის მხრივ მორგებული იქნება მათ გრაფიკზე და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მუსიკოსებს ექნებათ საშუალება გამოიმუშაონ შემოსავალი მათთვის სასურველ დროს.	19480
32	ააიპ „დემოკრატიის განვითარების სააგენტო“	სოციალური საწარმო „სოციალური სამყარო“	პროექტის მიზანია ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირთა ჩასახლებაში მცხოვრები ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე მოქალაქეების პროფესიული გადამზადება, მათი დასაქმების მიზნით, სოციალური საწარმოს შექმნა, „დემოკრატიის განვითარების სააგენტოს“ ახალგაზრდების პროფესიული გადამზადება, საწარმოს მოგების გარკვეული პროცენტული ნაწილით უნარშეზღუდულ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დახმარების ფონდის შექმნა.	19980
33	ააიპ „ყაზბეგის განვითარების ჯგუფი - ყაზბეგის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“	ყაზბეგის ახალგაზრდული მეწარმეობის სკოლა	წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს ყაზბეგში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემის შემცირებას, რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას და თვითდასაქმებას და ამასთანვე წვლილს შეიტანს ახალგაზრდების მიგრაციის შემცირებაში. პროექტის ფარგლებში შეიქმნება მეწარმეობის სასწავლო ცენტრი, რომელიც შესთავაზებს ახალგაზრდებს სასწავლო კურსებს: 1. მეწარმეობის პრინციპები (ბაზრის კვლევა, ბიზნეს გეგმის შედგენა, საკანონმდებლო ბაზა ეკონომიკური საქმიანობისათვის); 2. საბუღალტრო საქმის ზოგადი პრინციპები; 3. პირველადი წარმოება და ბაზრის შესწავლა სოფლის მეურნეობის სფეროში; 4. ტურისტული მომსახურებები და კერძოდ სასტუმრო სახლის მართვის კურსი.	19228
34	ააიპ „სოციალურ“	სოციალური მეწარმეობის	პროექტის სპეციფიური/უშუალო მიზნებია: □ ახალგაზრდების	19455

	საწარმოთა ალიანსი“	ახალგაზრდული ფესტივალი	ცოდნის და უნარების გაუმჯობესება სოციალური მეწარმეობის და ღონისძიებების ორგანიზების საკითხებზე; □ სოციალური საწარმოების საქმიანობის და მათი პროდუქციის შესახებ ცნობიერების ამაღლება, საქართველოს სხვადასხვა, ტურისტულად აქტიურ ქალაქებში სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზების გზით. პროექტის ფარგლებში შერჩეულ 5 ქალაქში გაიმართება ღონისძიებებით დატვირთული სოციალური მეწარმეობის ახალგაზრდული ფესტივალი, რომელიც დაიწყება თბილისიდან და დასრულდება ბათუმში.	
35	ააიპ „მოდრავი გალერეა“	მოდრავი გალერეა/ მოძრავი იმიჯები	პროექტის "მოდრავი გალერეა/მოდრავი იმიჯები" ფარგლებში ორგანიზებული გამოფენების მოწყობის მიზანია, თანამედროვე ხელოვნების ხელმისაწვდომობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პროექტი "მოდრავი გალერეა/მოდრავი იმიჯები" წარმოადგენს წარმატებული თანამედროვე ქართველი ხელოვანების გამოფენების ციკლს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ხელოვანები გამართავენ ვორქშოფებს თანამედროვე ხელოვნების კონკრეტული მიმართულებით, რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის.	19278
36	ააიპ „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“	დაბა წაღვერის ახალგაზრდული ცენტრი	პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდული ცენტრის გახსნას დაბა წაღვერში. სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისა და მათი თანატოლი შშმ პირების ჩართულობით მოხდება მრავალფეროვანი და შინაარსიანი აქტივობების განხორციელება: ექსკურსია, ფოტოკონკურსი, ლაშქრობები, სალონური საღამოები, ფილმების ჩვენება და განხილვა.	20000
37	ააიპ „სტუდენტური ერთიანობა“	შემოსე თანამოქალაქე	სოციალურად დაუცველი ხალხისათვის, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის და ასევე იმ სეგმენტისათვის, რომელთაც არ აქვთ საშუალება შეიძინონ ტანისამოსი, შეგროვდეს საჭირო ნივთები და გადაეცეს მათ საჩუქრად. ასევე პროექტის ფარგლებში ტანისამოსთან ერთად შეგროვდება სათამაშოები და გადაეცემა ამავე სეგმენტის ბავშვებს, ეს ყველაფერი მოხდება ქველმომქედების საფუძველზე.	14738,5
38	ააიპ „ახალგაზრდა ფინანსისტა და ეკონომისტა“	Produce the Art (აწარმოე ხელოვნება)	საუველირო სოციალური საწარმო ახალგაზრდებს მისცემს საშუალებას გაეცნონ ფილიგრანის უძველეს სახეობას, გასული საუკუნეების ძვირფას ლითონებზე ხელით მუშაობის და ტიხრული	21355

	ასოციაცია“		მინანქრის აქამდე მივიწყებულ ტექნოლოგიებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი პედაგოგებად და პროდუქციის ძირითად შემქნელებად იგულისხმებიან, ხალხური ოსტატები.	
39	ააიპ "ხვამლის ამქარი"	ხვამლის მთის ახალგაზრდული ბანაკი	პროექტის მიზნებია: 1. ხვამლის მთაზე სტაციონალური ბანაკის მოწყობა 2. ბანაკის ბაზაზე საგანმანათლებლო, ფსიქოსარეაბილიტაციო, კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი ტურისტული და რეგიონისათვის ტრადიციული მეურნეობის ცენტრების შექმნა. 3. ბანაკი იქცევა ადგილობრივი, საქართველოსა და უცხოეთიდან ჩამოსული ახალგაზრდებისათვის გაცნობა-დაახლოების ადგილად. 4. მოეწყობა მცირე მეურნეობა, სადაც მიმდებარე სოფლების ახალგაზრდები ანაზღაურებით და მათი თანატოლი მოხალისეები სხვადასხვა რეგიონებიდან დასაქმდებიან.	20000